პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 22 (6087)

1978 წ. 31 იანვარი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საიუბილეო წლის მიჯნები

**სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1977 წლის სახელმწიფო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ.**

საბჭოთა კავშირის მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ დადგენილებებს, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავი და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება აღნიშნეს შემდგომი წარმატებებით ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე 1977 წელს უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბისა და ეფექტიანობის ზრდა. თანამიმდევრულად სრულდებოდა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლების პროგრამა.

საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით სახალხო მეურნეობაში დაიზოგა 3 მილიონზე მეტი კაცის შრომა.

1977 წელს ეროვნულმა შემოსავალმა შეადგინა 398 მილიარდი მანეთი და წლის მანძილზე გაიზარდა 13,5 მილიარდი მანეთით. ეროვნული შემოსავლის დაახლოებით სამი მეოთხედი გამოყენებულია მოხმარებისათვის, ხოლო თუ გავითვალისწინებთ საბინაო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხარჯებს, უშუალოდ სახალხო კეთილდღეობას მოხმარდა ეროვნული შემოსავლის დაახლოებით ოთხი მეხუთედი.

მრეწველობის პროდუქცია 1976 წელთან შედარებით 30 მილიარდი მანეთით გაიზარდა და მიაღწია 562 მილიარდ მანეთს (1975 წლის 1 იანვრისთვის მოქმედი საწარმოო საბითუმო ფასებით).

სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 1977 წელს შეადგინა 123,6 მილიარდი მანეთი, რაც თითქმის 9 პროცენტით აღემატება მეცხრე ხუთწლედის საშუალო-წლიურ წარმოებას.

სახალხო მეურნეობაში ამოქმედდა დაახლოებით 110 მილიარდი მანეთის საერთო ღირებულების ძირითადი ფონდები.

საბჭოთა კავშირის საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ დაახლოებით 63 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებთან ბრუნვამ გადააჭარბა გრძელვადიანი შეთანხმებებით 1977 წლისათვის გათვალისწინებულ მოცულობას.

საბჭოთა კავშირის მოსახლეობამ 1978 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 260 მილიონი.

---

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

## ბრძანებულება

### „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის" საიუბილეო მედლის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავის აღსანიშნავად დაწესდეს საიუბილეო მედალი „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წელი".

2. დამტკიცდეს დებულება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის" საიუბილეო მედლის შესახებ.

3. დამტკიცდეს „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების 60 წლის" საიუბილეო მედლის აღწერილობა.

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.**

**სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.**

მოსკოვი, კრემლი, 1978 წლის 28 იანვარი.

---



## მთავარი ტურნირების უვერტიურა

უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ნებისმიერ საერთაშორისო ტურნირს, როდესაც კარზე ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებია მომდგარი. თბილისის ტრადიციული ტურნირი კი იმითაცაა საყურადღებო, რომ დღეს უკვე ნათლად მოჩანს მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადის კონტურები. ასეთ დიდ შეჯიბრებებში მწვრთნელების გულისყური სწორედ იქითაა მიმართული, რათა გამოავლინონ ახალი პერსპექტიული სპორტსმენები, ყურადღება გაამახვილონ მათზე და აქედან დაგეგმონ იმ სავარაუდო ნაკრების სია, რომელსაც მოსკოვის ოლიმპიადაზე მოუწევს თავისი ქვეყნის ღირსების დაცვა.

ტურნირმა, რომელიც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) უკვე მეჩვიდმეტედ მოაწყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში, ბევრი ფიქრისა და განსჯის, ეჭვისა თუ რწმენის საბაბი მისცა მრავალი ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელს.

თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა შეჯიბრება, რომელმაც ბევრი ახალი სახელი, ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა და გააცნო მაყურებელს. თუ, მაგალითად ლევან თედიაშვილი უკვე მეხუთედ გახდა ამ ტრადიციული ტურნირის გამარჯვებული, ხოლო ბორის ბიგაევი მეოთხედ, ისეთმა მწარლმა მოჭიდავეებმა, როგორიცაა მოჰამედ ბაზმოვარი (ირანი), ბუზაი იბრაგიმოვი, სულთან ხატაგოვი, იხაკ გაიდარბეკოვი და მუსან აბდულმუსლიმოვი, თბილისში პირველად ისახელეს თავი. მათ შორისაა 1977 წლის საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული თამაშების ჩემპიონი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის დიმიტრი მინდიაშვილის აღზრდილი, 19 წლის კრასნოიარსკელი ფალავანი ვლადიმერ ბატნია (90 კგ). ვლადიმერი ტურნირის ბოლო დღეს 0,5 საჯარიმო ქულით გამოვიდა ხალიჩაზე. აქ მან ქულებით დაამარცხა ბულგარელი ივან გინოვი, შემდეგ ასევე ქულებით სძლია ვლადიმერ მარშანიას და ფინალში მოუგო თანაგუნდელ ანატოლი მუსიენკოს. ამ შეჯიბრებაში გამარჯვება ახალგაზრდა სპორტსმენის დიდ წარმატებად გვესახება.

**ჭიდაობა**

**დამთავრდა თბილისის საერთაშორისო...**

ტურნირმა ერთგვარი საფიქრებელი საბჭოთა ნაკრების მწვრთნელებსაც გაუჩინა. აი, რა გვითხრა სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა **ალექსანდრე დიაკინმა:**

— ჩვენს გუნდში ყველა პრობლემა როდია გადაჭრილი, ჯერ კიდევ დამაფიქრებელია მდგომარეობა მსუბუქ და ქვემსუბუქ წონებში, არც 62 კგ წონით კატეგორიაში ვბრწყინავთ, მართალია აქ გამოირჩევა სეპულა აბსაიდოვი, მაგრამ ახალგაზრდობის მომზადების დონე მაინც დაბალია. ახალგაზრდების ნაკლებობას ყველაზე მეტად მძიმე წონაში განვიცდით, სადაც ერთადერთ იმედად ისევ სოსლან ანდიევი გვრჩება. მეტისმეტი პესიმიზმი რომ არ დამწამოთ, იმასაც გეტყვით, რომ გადასაჭრელ პრობლემებთან ერთად მნიშვნელოვანი წარმატებებიც არ გვაკლია — გვახარებს ხარკოველი ფალავნის, ახალგაზრდა ალამ დაუდოვის კარგი გამოსვლა, უნდა გითხრათ, რომ ჭიდაობის შესანიშნავი ტრადიციების მქონე ისეთი ქვეყნები, როგორიცაა ირანი და თურქეთი ამ ბოლო დროს დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა სკოლის მიმართ. მათი ფლავნები მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებიან ჩვენს ნაკრებთან. გარკვეული კონტაქტი დავამყარეთ კუბელ სპორტსმენებთანაც. ერთადერთი იაპონელები გვარიდებენ თავს (აკი თბილისშიც „ვერ მოახერხეს" ჩამოსვლა), ისინი ამერიკელ მოჭიდავეებთან ერთად ამჯობინებენ ვარჯიშს. მაგრამ მათაც დავუმტკიცებთ, რომ არც ისეთი ხელწამოსაკრავნი ვართ — წინ ხომ 1980 წლის ოლიმპიური თამაშებია... რაც დრო გადის თბილისის ტრადიციული ტურნირი უფრო და უფრო მეტ მნიშვნელობასა და წონას იძენს. სასიამოვნოა, რომ შარშანდელთან შედარებით წელს უფრო მეტი მაყურებელი ესწრება შეჯიბრებას. გაიზარდა საქართველოს ჭიდაობის გეოგრაფიაც — ამ ტურნირზე ხომ თბილისელებთან ერთად ქუთაისელი სულაქველიძე, სოხუმელები ხუტაბა და მარშანიაც მონაწილეობენ.

ფინალურ შეხვედრებს მართლაც უამრავი მაყურებელი დაესწრო. კარგა

(დასასრული მე-3 გვ.).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: თბილისის ტურნირის გმირი ლევან თედიაშვილი.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

---

ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

## ანგარიშია 3:1

**ჰვირას** ბად-კისინგენში (გფრ) ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში მ. ჩიბურდანიძესა და ა. კუშნირს შორის გათამაშდა IV პარტია. ქართველი დიდოსტატი თეთრი ფიგურებით თამაშობდა.

მეფის პაიკის წინსვლის საპასუხოდ კუშნირმა კარო-კანის დაცვის საიმედო ვარიანტი გაითამაშა. ცენტრში პაიკების, მერე რამდენიმე მსუბუქი ფიგურის გაცვლის შემდეგ თეთრებს მცირე პოზიციური უპირატესობა ჰქონდათ.

როგორც კი ჩიბურდანიძემ დაამთავრა ფიგურების განვითარება, კუშნირმა ლაზიერების გაცვლა და ენდშპილში თამაში შესთავაზა. მაიამ გამოწვევა მიიღო.

თანდათან ჩიბურდანიძემ ეტლებით დაიპყრო ღია ცენტრალური ვერტიკალი, შეძლო ძლიერი კუს მიღება და სახიფათოდ აამოძრავა თავისი გამსვლელი პაიკი. ამან კიდევ უფრო გამოკვეთა სსრ კავშირის ჩემპიონის პოზიციური უპირატესობა.

შემდგომ კუშნირმა გააქტიურა თავისი ეტლი, მოიხმო მხედარი თეთრების ძლიერი გამსვლელი პაიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ მისი მეფე მთავარ ბრძოლაში ვერ იღებდა მონაწილეობას.

ამასობაში ამოიწურა თამაშისთვის განკუთვნილი დრო და 41-ე სვლაზე პარტია გადაიდო ქართველი დიდოსტატის აშკარა უპირატესობით.

**მეოთხე პარტია**

**ჩიბურდანიძე — კუშნირი**

**კარო-კანის დაცვა**

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 მd7 5. კc4 მgf6 6. მg5 e6 7. ლe2 მb6 8. კd3 h6 9. მ5f3 c5 10. dc მbd7 11. მe5 მ:e5 12. ლ:e5 მd7 13. ლe2 მ:c5 14. კb5+ კd7 15. კ:d7+ ლ:d7 16. მf3 კd6 17. 0—0 0—0 18. b3 ეfd8 19. კb2 ლc6 20. ეad1 ლe4 21. ლ:e4 მ:e4 22. ეd4 f5 23. ეfd1 ეdc8 24. c4 ეc6 25. მe5 ეa6 26. f3 კ:e5 27. ეd8+ ე:d8 28. ე:d8+ მფf7 29. კ:e5 მf6 30. ეb8 ე:a2 31. ეb7+ მფg6 32. ეe7 ეa3 33. c5 ე:b3 34. c6 ეb1+ 35. მფf2 ეc1 36. c7 f4 37. კ:f4 ეc2+ 38. მფe1 მd5 39. ეe8 მb6 40. ეe5 მფf7. პარტია გადაიდო.

41-ე სვლა ჩიბურდანიძემ ჩაიწერა.

**გ უ შ ი ნ**

მეტოქენი კვლავ მიუსხდნენ დაფას. თეთრების 47-ე სვლის შემდეგ კი კუშნირმა თავი დამარცხებულად ცნო. ანგარიში გახდა 3:1 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ.

პარტია ასე გაგრძელდა: 41. ეb8 g5 42. ეh8 მფg6 43. ეf8 ეc6 44. g4 h5 45. ეf6+ მფh7 46. gh მფg8 47. ეh6 შავები დანებდნენ.

დღეს, 31 იანვარს უნდა შედგეს V პარტია, რომელშიც ჩიბურდანიძე შავებით ითამაშებს.

---

## ჩემპიონობის პრეტენდენტი

**კიკინდაში** (იუგოსლავია) იწურება გოგონათა შორის ევროპის II პირველობა, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება.

8 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს თბილისელი ოსტატი, 15 წლის ნანა იოსელიანი — 6,5 ქულა. უახლოესი მეტოქე მას ქულით ჩამორჩება.

---

**ფარიკაობა**

## „მოსკოვური ხმალი" — ვეტერანს

**მსოფლიოსა** და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონმა, 32 წლის ვ. ნაზლიმოვმა (მოსკოვის ოლქი) მოიგო მოფარიკავეთა მე-6 ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი — „მოსკოვური ხმალი".

7 ქვეყნის ხმლით მოფარიკავეთა შეჯიბრების ფინალში ვეტერანმა, რომელიც მონრეალის ოლიმპიადის შემდეგ აღარ აპირებდა ასპარეზობას, ბრწყინვალე ოსტატობა გამოავლინა. ვლადიმერმა 5 მეტოქე დაამარცხა, მათ შორის ოლიმპიური ჩემპიონები ვ. კროვოპუსკოვი და ვ. სიდიაკი, უნგრეთის წამყვანი მოფარიკავეები ი. გედოვარი და რ. ნებალდი, აგრეთვე, რუმინეთის ნაკრების ლიდერი ა. ნილკა.

ყოველკვირეულ „სპორტივნაია მოსკვას" მთავარი პრიზის ბედი აქამდე დაუმარცხებლად მისული ნაზლიმოვისა და გედოვარის (ბუდაპეშტი) შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. სტუმარმა ვერ გაუძლო ნაზლიმოვის ელვისებურ შეტევებს და... II ადგილზე გავიდა. III ადგილი სიდიაკმა დაიკავა.

გუნდური I ადგილი მოიპოვა უნგრეთის ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში მოუგო მოსკოვის ნაკრებს — 9:4 (საკდესი).

# ორი ბიოგრაფია



## ყველა მწვერვალთა მწვერვალი

ჯომოლუნგმა — მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, ნეპალისა და ჩინეთის საზღვარზე, ჰიმალაის მთავარ ქედზე მდებარეობს. ჯომოლუნგმას მასივი იმდენად გრანდიოზულია, რომ მისი უახლოესი გოლიათი მწვერვალები ლხოცზე, მაკალუ და ჩო-ოიუ დაჩიავებულად მოგეჩვენებათ. თუმცა, სამივე მწვერვალი მსოფლიოს იმ თოთხმეტ გოლიათთა რიცხვში შედის, რომელთა სიმაღლე 8000 მეტრს აღემატება.

ძალზე საინტერესო ბიოგრაფია აქვს ჯომოლუნგმას, უფრო ზუსტად, მწვერვალის სიმაღლისა და სახელის დადგენის ისტორიას.

ვიდრე ჯომოლუნგმას ამავე სახელწოდებით გაიცნობდნენ მსოფლიოში და უმაღლეს მწვერვალად აღიარებდნენ, მიაჩნდათ, რომ ყველაზე მაღალი დჰაულაგირი (8221 მ) იყო. ჯომოლუნგმა კი რუკებზე აღნიშნული იყო „XV პიკის“ სახელწოდებით. ეს ციფრი ჰიმალაის დანარჩენ მწვერვალთა შორის სიმაღლის რიგითობას მიანიშნებდა.

1845-1850 წლებში გეოდეზიური მუშაობის შედეგად ჯომოლუნგმა დედამიწის უმაღლეს მწვერვალად აღიარეს. მაშინ მიაჩნდათ, რომ მწვერვალი 8882 მეტრი სიმაღლისა იყო. მომდევნო წლებში ჯომოლუნგმას სიმაღლის განსაზღვრისას აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა. ფიქრობდნენ, რომ დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სიმაღლეა 8888, 8882, 8848, 8842 მეტრი. დღეს ყველაზე ხშირად 8848 მეტრს მიუთითებენ.

ახლა რამდენიმე სიტყვა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის სახელზე. ერთ-ერთზე — „XV პიკზე“ უკვე მოგახსენეთ. რაც შეეხება „ჯომოლუნგმას“, იგი ტიბეტური სიტყვაა და „მიწის ღმერთების დედას“ ნიშნავს. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ მწვერვალს სხვა ადგილობრივი მკვიდრნი „ჩომო-კანკარს“ („თოვლის სითეთრის დედოფლის დედა“) უწოდებენ.

1856 წელს სრულიად მოულოდნელად დედამიწის უმაღლესი მწვერვალის სახელწოდების აღსანიშნავად რუკებზე გაჩნდა ახალი სახელი — ევერესტი. ჯორჯ ევერესტი ინდოეთის გეოდეზიური კომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. შემდეგ რუკებზე მსოფლიოს ყველაზე გრანდიოზული მასივის აღსანიშნავად გამოჩნდა ახალი სახელწოდება — გაურიზანკარი.

საქმე იმაშია, რომ ცნობილი მოგზაური შლაგინტვეიჰტი ჰიმალაის ნეპალიდან აკვირდებოდა და იმ დასკვნამდე მივიდა, თითქოს გაურიზანკარი და ევერესტი ერთი და იგივე მწვერვალია, ოღონდ ადგილობრივი მკვიდრნი სხვადასხვაგვარად უწოდებენ სახელსო. შემდეგ გამოირკვა, რომ ევერესტი და გაურიზანკარი სხვადასხვა მწვერვალებია. სხვათა შორის, გაურიზანკარის სიმაღლე 7144 მეტრია.

დღეისათვის მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის სახელწოდებად რუკებზე და ლიტერატურაში დამკვიდრებულია: „ევერესტი“, „ჯომოლუნგმა“ და „ჩომოლუნგმა“.

კიდევ უფრო საინტერესოა დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე ასვლების ისტორია. ამ მხრივ პრიორიტეტი ინგლისელებს ეკუთვნით. სწორედ ინგლისელები იყვნენ პირველნი, რომლებიც ჯომოლუნგმის ექსპედიციას ჯერ კიდევ 1893 წელს გეგმავდნენ. ინგლისელები მელორი და ბულოკი იყვნენ პირველნი, რომლებმაც 1921 წელს დაზვერვის მიზნით შეუტიეს ჯომოლუნგმას. ინგლისელები მელორი, ნორტონი და სომერველი იყვნენ პირველნი, რომლებმაც 1922 წელს დაახლოებით 8326 მეტრამდე ააღწიეს. მანამდე ასეთ სიმაღლეზე ადამიანს ფეხი არ დაედგა.

როდესაც მელორს ჰკითხეს, ევერესტზე ასვლით რატომ იგდებთ სიცოცხლეს საფრთხეშიო, უპასუხა: „მივდივარ, რადგან ევერესტი არსებობს“.

1924 წელი. კვლავ ინგლისელთა ექსპედიცია. ამჯერად მელორი და ირვინი დაახლოებით 8600 მეტრამდე ადიან, ადიან ჟანგბადის ბალონების გარეშე.

ამ მიღწევამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მთელს სპორტულ სამყაროში. ინგლისელთა ექსპედიციის მეთაური, გენერალი ბრიუსი ოლიმპიური მედლით დაჯილდოვდა. ასეთი გადაწყვეტილება შამონის ოლიმპიურ თამაშებზე მიიღეს.

მელორისა და ირვინის მიერ მიღწეულ სიმაღლეს პრაქტიკულად ვერც ერთი გოლიათი მწვერვალი ვერ შეედრებოდა, ცხადია, ჯომოლუნგმას გარდა. სამწუხაროდ, ამ სიმაღლიდან მელორი და ირვინი უკან აღარ დაბრუნებულან — ჯომოლუნგმას პირველი მსხვერპლნი გახდნენ.

1953 წლამდე ჯომოლუნგმაზე ასვლა კიდევ შვიდჯერ სცადეს ინგლისელებმა, მაგრამ ამაოდ. დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე შვეიცარიელებმაც მიიტანეს იერიში (ორჯერ — 1952 წელს). მაგრამ ვერც მათ გადალახეს მელორისა და ირვინის მიერ მიღწეული ზღვარი.

და აი, 1953 წელს ინგლისელთა მეთერთმეტე ექსპედიცია უტევს ჯომოლუნგმას. 9 მაისს, 11 საათსა და 30 წუთზე, ბოლოს და ბოლოს ჯომოლუნგმა ნებდება ადამიანებს. პირველდამპყრობნი ინგლისელი ედმუნდ ჰილარი და შერპი თენსინგ ნორგეი ერთმანეთს ხელს ართმევენ, ეხვევიან და ზურგზე იმდენხანს უტყაპუნებენ ხელს, მანამ ჟანგბადის უკმარისობის გამო იძულებული არ ხდებიან ეს „გართობა“ შესწყვიტონ.

მოგვიანებით ჰილარი ინგლისელ კორესპონდენტს ჯეიმს ბერკს ეტყვის, პირველი გრძნობა, რაც მწვერვალზე ასვლისას განვიცადე, უდიდესი შვება იყო — რომ საჭირო აღარ იქნებოდა საფეხურების გაუთავებელი ჩეხვა, რომ აღარ იქნებოდა ატყორცნილი თოვლის მასა, რომლის ყოველი გამოჩენა გზის დასასრული გვეგონა, მაგრამ თავზე რომ მოვექცეოდით, კიდევ თოვლის მასა აღიმართებოდა ხოლმე ჩვენს წინ.

ამის შემდეგ ჯომოლუნგმა კიდევ 56 მთამსვლელმა დაიპყრო. ამაზე მეტი ასვლისას დაიღუპა. მწვერვალის დამპყრობთა შორის ერთი ქალია — იაპონელი იუნკო ტაბეი, რომელიც შერპ ცერინგთან ერთად 1975 წელს ავიდა მწვერვალზე.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ როგორც არ უნდა განვითარდეს ალპინიზმი, ჯომოლუნგმა კვლავაც დარჩება ყველა მთამსვლელის ოცნებად.

სხვათა შორის, ნეპალის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჯომოლუნგმაზე ამსვლელთათვის განრიგი აქვს დაწესებული. წელიწადში სულ ორჯერ — გაზაფხულზე და შემოდგომაზე უშვებენ ექსპედიციებს. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მთამსვლელები კარგა გვარიან თანხას გადაიხდიან.

1980 წლისთვის ჯომოლუნგმა საბჭოთა მთამსვლელებს ელის.

## ბანგურიანიდან თეთრი დედოფლისკენ

საღამოვდებოდა, როდესაც მესტიაში ხმა გავარდა, ბავშვი დაიკარგაო. ბავშვი დილიდანვე არ ჩანდა. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ მშობლები, მაგრამ ბიჭის ასავალ დასავალს ვერსად მიაგნეს. აბა, რას იფიქრებდნენ, რომ თერთმეტ-თორმეტი წლის ბიჭი მწვერვალ ბანგურიანზე გაიპარებოდა.

მიდიოდა ბიჭი მაღლა, სულ მაღლა. მიდიოდა ჩაშავებული უფსკრულების თავზე და ახსენდებოდა პაპის ნაამბობი — თქმულება ბეთქილზე, რომელიც ნადირობის ქალღმერთმა დალიმ უშბის კალთებზე დაღუპა. ახსენდებოდა ხალხური გადმოცემა მურათბი კიბოლანზე, რომელიც უცხოელ მთამსვლელებს მეგზურად გაჰყოლია უშბაზე და მწვერვალზეც ასულა. კიბოლანი მეორედაც ასულა უშბაზე, მაგრამ იქიდან დაბრუნებული აღარავის უნახავს. მოგონებებმა, ცოტა არ იყოს, სული აუფორიაქეს, მაგრამ უმალ გაახსენდა ჩხუმლიანის — დიდი მიხეილ ხერგიანის ნათქვამი: თუ მთაში განსაცდელის ჟამს კაცი შიშს დაძლევს, მისგან აუცილებლად ნამდვილი მთამსვლელი დადგებაო.

ბანგურიანი ონავარი ბიჭის დიდი ხნის ოცნება იყო და ამიტომაც დაძლია შიში. მეორედ კი მაშინ შეუქანდა გული, როდესაც თოვლიან ციცაბო ფერდობზე ფეხი მოუსხლტა და გატყორცნილი ისარივით ჩასრიალდა ქვემოთ. საბედნიეროდ, ქვემოთ თოვლიანი პლატო იყო. ბიჭმა კვლავ დაძლია შიში და ისევ ზევით აბობღდა.

მწვერვალზე რომ ავიდა და მთელ მესტიას გადმოხედა, გაუკვირდა, ეს ჩვენი კოშკები ასე რამ დააჩიავაო. იდგა სახეანთებული ბიჭი ბანგურიანზე და ფიქრობდა, ნეტა ახლა ჩემთან ერთად მთელი მესტია იდგესო.

შინ რომ დაბრუნდა, ყველამ გაკიცხა. მამამაც აუწითლა ყურები. მაგრამ გუნებაში ეამაყებოდა — მისი შვილი მარტოდმარტო ავიდა მწვერვალზე! მერე რა, რომ ბანგურიანი არც სიმაღლით გამოირჩეოდა და არც სირთულით. მაინც მწვერვალი იყო და მწვერვალი ერქვა. ერთიც კარგად ენიშნა მამას — როდესაც ბიჭი ბანგურიანზე ადიოდა, ქართველი მთამსვლელები ლევან ახვლედიანი, ჯუმბერ მეძმარიაშვილი და მიხეილ ხერგიანი იოსებ კახიანის მეთაურობით ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალს — კომუნიზმის პიკს (7495 მ) უტევდნენ.

ეს იყო 1955 წელს.

პატარა ბიჭის იმ ცუღლუტობიდან ზარე 20 წელი მიილევა და 1975 წლის ზაფხულში, შორეული პამირიდან, ლარმოს მყინვარიდან „ლელოს“ რედაქცია ასეთი შინაარსის ბარათს მიიღებს:

„კარგა ხანია, რაც საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ნაკრების წევრები პამირში ვართ. ძალიან გამიხარდა, როცა ჩვენმა ხელმძღვანელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა კირილე კუზმინმა გუნდის წევრ ერთადერთ ქართველს ნება მომცა სხვებთან ერთად მიმეტანა იერიში საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს მწვერვაზე — კომუნიზმის პიკზე (7495 მ). ეს მით უფრო სასიხარულო იყო, რომ ასვლა კომუნიზმის პიკზე ქართველთა ლაშქრობის 20 წლისთავს ემთხვეოდა. მაშინ იოსებ კახიანმა (ხელმძღვანელი), მიხეილ ხერგიანმა, ჯუმბერ მეძმარიაშვილმა და ლევან ახვლედიანმა მწვერვალზე ახალი, ურთულესი ბილიკი გაკვალეს. იმ „ბილიკს“ შემდეგ „ქართველთა გზა“ ეწოდა. და აი, 20 წლის შემდეგ, 29 ივლისს, ჩვენც ამ „ბილიკით“ დავიპყარით მწვერვალი. იქ ქართულად და რუსულად დაწერილი ბარათები დავტოვეთ, რომლებიც სამუდამოდ დარჩება ღრუბლებზე მაღლა.

საბჭოთა კავშირის მთამსვლელთა ნაკრების მიზანია 1980 წელს ჰიმალაის მთებში მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის ჯომოლუნგმას დაპყრობა. სწორედ ამ ლაშქრობისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო კომუნიზმის პიკზე ასვლა“.

ბარათის ავტორი სწორედ ის ონავარი ბიჭი იყო, მწვერვალ ბანგურიანზე მარტოდმარტო რომ გაიპარა. მერელა გავიგეთ — სერგო ბარლიანი კომუნიზმის პიკზე ლაშქრობისას გუნდის უბრალო წევრი კი არა, ასვლის ხელმძღვანელი ყოფილა.

„სერგო ბარლიანმა კომუნიზმის პიკზე ლაშქრობისას თავი გამოიჩინა როგორც ნიჭიერმა ხელმძღვანელმა, ჭეშმარიტმა მეგობარმა, ტექნიკურად და ფიზიკურად კარგად მომზადებულმა მთამსვლელმა“. ეს სიტყვები სპორტის დამსახურებულ ოსტატს კირილე კუზმინს ეკუთვნის. კირილე კუზმინის სიტყვებს კი დიდი წონა აქვს. იგი ხომ სსრ კავშირის მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეა და ერთ-ერთია იმ სამიდან, რომლებიც ჰიმალაის ექსპედიციის დაკომპლექტებაში თავიანთ ავტორიტეტულ სიტყვას ამბობენ.

მაგრამ, მოდით, ნუ გავუსწრებთ მოვლენათა მსვლელობას და თანმიმდევრულად მივყვეთ სერგო ბარლიანის მიერ თვალშეუდგამ მთებში გაკვალულ ბილიკებს.

ბანგურიანმა პატარა სერგოს თითქოს მთებისადმი ინტერესი ჩაუკლა. კარგა ხანს მწვერვალებს აღარ გაეკარებია. და აი, 1966 წელს საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიცია ტიან-შანში ჩავიდა. მიხეილ ხერგიანმა სერგოც თან წაიყვანა. ჯერ სერგო არც-ერთ მწვერვალზე არ იყო ასული, როდესაც ბანაკში ცნობა მოვიდა, მწვერვალ ვაჟა-ფშაველაზე ერთი მოსკოველი მთამსვლელი დაიღუპა და დანარჩენებსაც საფრთხე ემუქრებათო. დაცდა აღარ შეიძლებოდა. მიშა ხერგიანმა, თამაზ ბაქანიძემ, რომა გიუტაშვილმა და კარლო არღვლიანმა სერგო ბარლიანიც ჩაიბეს თოკში. განსაცდელში ჩავარდნილ მთამსვლელებს 6200 მეტრის სიმაღლეზე შეხვდნენ. იმ სიმაღლემდე თითქმის უმაღლესი სირთულის ტრასა გაიარეს. სწორედ მაშინ იყო „კლდის ვეფხვმა“ რომ უთხრა სერგოს, შენგან კარგი მოსიმაღლე მთამსვლელი დადგებაო. სერგო [illegible] [illegible] იპოვიდა და, [illegible] 1969 წლამდე [illegible] გამოჩენილა. იმ წელს კი [illegible] ალპინისტთა ბანაკ „აილამას“ და, დაიწყო...

სერგო ბარლიანის ლაშქრობათა შესახებ საკმაოდ ვრცელი და საინტერესო თავების დაწერა შეიძლება. მაგრამ ეს არაა ჩვენი მიზანი. ეგეც არ იყოს, სერგო ბარლიანის ალპინისტური ბიოგრაფიის მშრალ, ანკეტურ მონაცემებზე უბრალოდ თვალის გადავლებაც ნათელ წარმოდგენას მოგვცემს მის სიძლიერეზე.

დღეს სერგო ბარლიანი ერთადერთი ქართველი მთამსვლელია, რომელმაც 6-ჯერ შედგა ფეხი „შვიდიათასიან“ მწვერვალებზე. სერგო ერთადერთი ქართველი მთამსვლელია, რომელმაც სამჯერ დაიპყრო ჩვენი ქვეყნის უმაღლესი მწვერვალი — კომუნიზმის პიკი, ამას გარდა, სერგო ბარლიანის მედლების კოლექციაში სსრ კავშირის ჩემპიონის 1 ოქროს, 2 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი.

ასეთია სერგო ბარლიანის სპორტული ბიოგრაფიის მშრალი, ანკეტური ცნობები. ამ ცნობების მიღმა ბარლიანის მრავალი ვაჟკაცური შემართება თუ სხვა ადამიანური თვისებები იმალება. ამ თვისებებზეც ვრცლად შეიძლება საუბარი, მაგრამ, უმჯობესია, სერგო ბარლიანის უფროსი მეგობრის, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის, დოცენტ აგი აბაშიძის სიტყვები გავიხსენოთ. აგი აბაშიძისა იმიტომ, რომ ისინი ბევრჯერ ერთ თოკში ჩაბმულნი უტევდნენ მწვერვალებს, ბევრჯერ გაუტეხიათ ხმელი პური, ბევრჯერ ხელში სჭერიათ ერთმანეთის სიცოცხლე და ბევრჯერ ყოფილან ბედნიერების თანაზიარნი.



„ბარლიანი სვანეთში დაიბადა და გაიზარდა, კავკასიონის ულამაზესი მთების გარემოცვაში და, ბუნებრივია, რომ მთებისადმი სიყვარული ბავშვობიდანვე დაჰყვა, მაგრამ იმისთვის, რომ კარგი მთამსვლელი გახდე, მხოლოდ მთების სიყვარული, ცხადია, არ კმარა. სერგოს შესანიშნავი სპორტული მონაცემები და, რაც მთავარია, იშვიათი ადამიანური ღირსებები აქვს, რომელთა გარეშე ბარში ხომ არ ვარგა კაცი და, მით უფრო — მთაში. მეგობარი გაჭირვებაში გაიცნობაო. სერგო ბარლიანზე ერთგულ მეგობარს კი ძნელად მონახავ გაჭირვების ჟამს. სწორედ ამ თვისებების გამო გახდა ბარლიანი ერთ-ერთი კანდიდატი იმ გუნდისა, რომელიც ინტენსიურად ემზადება რამდენიმე წლის შემდეგ ჰიმალაის მთებში მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალის დასალაშქრავად“.

სერგო ბარლიანის პორტრეტს კიდევ ერთ შტრიხს მატებს საქართველოს მთამსვლელთა პრეზიდიუმის თავმჯდომარის, დოცენტ ოთარ გიგინეიშვილის სიტყვები — სერგოს განსაკუთრებული პოეტური შეხედულება აქვს მთებზეო, ამ სიტყვების ერთგვარი დასტურია ისიც, რომ იმ ბარათში, რომელიც სერგომ ლარმოს მყინვარიდან გამოგვიგზავნა, მთის ულამაზესი ყვავილები — ედელვაისებიც ეწყო.

და კიდევ ერთი — მთამსვლელები, როგორც წესი, ექსპედიციებში ზედმეტი ტვირთით არასდროს იმძიმებენ ზურგჩანთას. ერთადერთი „ზედმეტი“ ტვირთი ფოტოაპარატია. სერგო ბარლიანი ფოტოაპარატთან ერთად წიგნებითაც იმძიმებს ზურგჩანთას. უთუოდ მძიმე იქნება, მაგრამ მაინც გვჯერა, რომ ბანგურიანით დაწყებული ალპინისტური გზა „თეთრ დედოფალზე“ — ჯომოლუნგმაზეც გადაივლის.

**ბ. გურასაშვილი.**

• • •



სურათებზე: ზემოთ — ჯომოლუნგმა; ქვემოთ, მარცხნივ — ედმუნდ ჰილარი და თენსინგ ნორგეი; მარჯვნივ — სერგო ბარლიანი.

## ხელბურთი

**ხელბურთელ** ვაჟთა გუნდების მსოფლიოს IX ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრებმა ჯგუფში დარჩენილი ორი შეხვედრა ჩაატარა ესპანეთისა და დანიის გუნდებთან. ესპანეთს მოუგო 24:12, ხოლო მსოფლიო ჩემპიონებთან, დანიელებთან ფრედ (16:16) ითამაშა და ნახევარფინალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

სხვა ჯგუფებში თამაშები ასე დამთავრდა: **I ჯგუფი:** გფრ — კანადა 20:10, იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია 17:16, გფრ — იუგოსლავია 18:13, ჩეხოსლოვაკია — კანადა 25:10; **II ჯგუფი:** უნგრეთი—გდრ 12:10, რუმინეთი—საფრანგეთი 35:17, უნგრეთი — რუმინეთი 21:22 (ეს მატჩი უნგრელებმა გააპროტესტეს, ვინაიდან რუმინელებმა ბურთი გაიტანეს, როცა დრო გათავებული იყო), გდრ — საფრანგეთი 28:15; **III ჯგუფი:** დანია — ისლანდია 21:14; **IV ჯგუფი:** შვეცია — იაპონია 24:20, პოლონეთი — ბულგარეთი 28:22, პოლონეთი — შვეცია 22:17.

ამრიგად, ერთ ნახევარფინალურ ჯგუფს შეადგენენ პოლონეთი, სსრ კავშირი, დანია და შვეცია, ხოლო მეორე ნახევარფინალურ ჯგუფში გამოვლენ რუმინეთი, გდრ, გფრ და იუგოსლავია.

ნახევარფინალური ტურნირები გათამაშდება 31 იანვარ — 2 თებერვალს, ხოლო გამარჯვებულები ფინალურ მატჩში შეხვდებიან 5 თებერვალს.

## ჭადრაკი

### გ. გულკო და ი. დორფმანი — სსრ კავშირის ჩემპიონები

მოსკოვში, არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის დარბაზში გაიმართა დამატებითი მატჩის V და VI პარტიები სსრ კავშირის ჩემპიონის სახელისთვის დიდოსტატებს ბ. გულკოსა (მოსკოვი) და ი. დორფმანს (ლვოვი) შორის, რომლებიც დამთავრდა ყაიმით.

ამრიგად, მატჩი დამთავრდა ანგარიშით 3:3.

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებით ბ. გულკოსა და ი. დორფმანს მიენიჭათ ჩვენი ქვეყნის 1977 წლის ჩემპიონის წოდება.

### ნორმატივი შეასრულა

მინსკში დამთავრდა ტურნირი, რომელშიც 14 წლის ბაქოელმა გ. კასპაროვმა სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. მსგავს წარმატებას ამ ასაკში მხოლოდ მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა მიაღწია.

კასპაროვი 7 წლისა იყო ჭადრაკი რომ ისწავლა. 9 წლისამ პირველი თანრიგი მოიპოვა, 10 წლისამ — ოსტატობის კანდიდატისა. 12 წლის ჯერ 1976 წელს თბილისში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა ჭაბუკთა შორის. მერვეკლასელი კასპაროვი თავისი მეხსიერებით ანცვიფრებს მათემატიკის, ისტორიის, ლიტერატურის მასწავლებლებს, ჭადრაკის მწვრთნელებს.

# მთავარი ტურნირების უვერტიურა

### დასასრული

ხანია, რაც ჭიდაობის ამდენ გულშემატკივარს ერთად არ მოუყრია თავი და ეს ბუნებრივიცაა, ტურნირში ხომ ჭიდაობის მრავალი აღიარებული ოსტატი მონაწილეობდა. მაყურებელმა ბევრი სასიამოვნო წუთები განიცადა, მაგრამ არც იმედის გაცრუება დაჰკლებია. გულდასაწყვეტი იყო შარშანდელი აბსოლუტური ჩემპიონის, შეჯიბრების უდავო ფავორიტის ნოდარ მოდებაძის მართლაც რომ უიღბლო გამოსვლა — დილის შეხვედრების დროს, როდესაც ნოდარი სალმან ხასიმიკოვთან ჭიდაობდა, ქულათა ანგარიში თანაბარი იყო (2:2), მაგრამ აქ თავი იჩინა ძველმა ტრავმამ (ნოდარ მოდებაძეს მარცხენა მკლავი ჰქონია დაზიანებული) და იგი შეჯიბრებას გამოეთიშა, ამიტომ ბორის ბიგაევისა და ვლადიმერ პარშუკოვის შეხვედრას, რომელსაც ფაქტიურად უნდა გადაეწყვიტა გამარჯვებულის ბედი, იგი ნაღვლიანად შესცქეროდა მაყურებლის სკამიდან. ამ შეხვედრაში კარგად იასპარეზა ბიგაევმა და პირველმა დაიმკვიდრა თბილისის ტურნირის გამარჯვებულის სახელი.

მეტად დაძაბული გამოდგა ივანე იარიგინისა (სსრკ) და ლევან თედიაშვილის (საქართველო) შეხვედრა. იარიგინს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, მან ყველასაგან მოულოდნელად წააგო ბრძოლა ილია მატესთან (თანაც წმინდად!) და ახლა ჰაერივით სჭირდებოდა გამარჯვება. ევროპის სამგზის, 1973 წლის მსოფლიო ჩემპიონსა და ოლიმპიური თამაშების ორგზის გამარჯვებულ ივან იარიგინს ჩვენი თანამემამულე, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი დიმიტრი მინდიაშვილი ავარჯიშებს. მინდიაშვილს 60-ზე მეტი სპორტის ოსტატი ჰყავს გამოზრდილი, ცხოვრობს კრასნოიარსკში, წარმოშობით კი გორის რაიონიდანაა. აღსანიშნავია, რომ მისი ვაჟი მინდია უკვე სპორტის ოსტატია თავისუფალ ჭიდაობაში და გამოცდილი მწვრთნელი დიდ იმედებს ამყარებს მასზე. ახლა კი იარიგინისა და თედიაშვილის შეხვედრას დავუბრუნდეთ: მეორე წუთზე იარიგინმა ილეთი ჩაუტარა ლევანს და ორი ტექნიკური ქულაც აართვა, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, ამ უპირატესობის შენარჩუნების მიზნით ყრუ დაცვაზე გადავიდა და მალე პასიურობისთვის მსაჯებისგან გაფრთხილებაც მიიღო. მეორე პერიოდში თედიაშვილმა ლამაზი ილეთით ერთი ქულა დაიბრუნა, ანგარიში გათანაბრდა, მაგრამ იარიგინი კვლავ პასიურობდა, მესამე პერიოდში მსაჯებმა ცეს — 3:2. ლევანმა ბოლომდე შეინარჩუნა ეს ანგარიში და გამარჯვებასაც მიაღწია. ამ ბრძოლაში კიდევ ერთხელ გამობრწყინდა ლევან თედიაშვილის უბადლო ტაქტიკური აზროვნება და მაღალი ტექნიკა.

იმ სამი დღის განმავლობაში თბილისის სპორტის სასახლეში ხშირად გაისმოდა ტაში, ამა თუ იმ მოჭიდავეს რომ ეკუთვნოდა, მაგრამ ტურნირის ბოლო დღის საღამოს შეხვედრების წინ, როცა მაყურებლებს მსაჯები წარუდგინეს, ჭიდაობის ქართველი გულშემატკივრები მქუხარე ტაშით ამჯერად ამერიკელ ჩედ ქროუს შეეგებნენ. საოცარია, ეს მისალმება ქროუს უზადო მსაჯობის გამო როდი რგებია, რა დასამალია და იგი ხშირად სცოდავდა კიდეც ამათუ იმ შეხვედრის დროს, მაგრამ ათლეტური აღნაგობის მკვირცხლი ახალგაზრდა დიდი მონდომებისა და ჭიდაობის იმ საოცარი სიყვარულის გამო გამოარჩია მაყურებელმა, რომელიც მის ყოველ მოძრაობაში, ჟესტიკულაციაში თუ მიმიკაში მჟღავნდებოდა. დილის შეხვედრების დროს, როდესაც ლევან თედიაშვილს თურქი აიხან ტაშკინი ხიდზე ჰყავდა გადაყვანილი და საცაა ხალიჩაზე ორივე ბეჭითაც უნდა გაეკრა, მსაჯისათვის მოუხერხებელ ადგილზე მდგომი ქროუ ფრინველივით ზედ გადაევლო მოჭიდავეებს, მარჯვედ გასრიალდა და ლევანის გამარჯვების ნიშნად მაღლა აღმართა ხელი. მართლაც უჩვეულო სანახაობა იყო.

შესვენებისას **ჩედ ქროუ** დავიმარტოხელეთ და რამდენიმე შეკითხვა მივეცით.

— მინესოტას შტატის ერთი პატარა ქალაქიდან — ვირდინკტონიდან გახლავართ — გვითხრა მან, — ამერიკელებს ძალიან უყვართ ჭიდაობა და უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე, აქაურობისა არ იყოს, დარბაზები მუდამ სავსეა. ჩვენი გუნდი, როგორც თვითონვე ნახეთ, ახალგაზრდა სპორტსმენებითაა დაკომპლექტებული, ძირითადი ნაკ- ემზადება და ამიტომ მისი ხელმძღვანელები მოჭიდავეთა ასეთი შორეული მგზავრობით გადატვირთვას მოერიდნენ... პირადად მე თქვენს ქვეყანაში პირველად ვიმყოფები, აქაურობა ძალზე მომწონს და თუ შეიძლება თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა და ჩემი მხურვალე სალამი გადაეცით ქართველ მაყურებელს.

**დრამატიზმით** იყო აღსავსე ვლადიმერ მარშანიას (საქართველო) და ალაშ დაუდოვის (სსრ კავშირი) ნახევარფინალური შეხვედრა, რომელიც დასაწყისიდანვე სოხუმელი ფალავნის უპირატესობით წარიმართა. 32 წლის ვლადიმერი გამოცდილი მოჭიდავეა, იგი არის საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, ბულგარეთის, გდრ-ისა და თბილისის საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებული. მეორე პერიოდში მარშანია 10:6-ზე იგებდა შეხვედრას, მაგრამ, ცოტა არ იყოს, დაიღალა და უპირატესობა დათმო. ახალგაზრდა ალაშ დაუდოვმა ზედიზედ დაიწყო ქულების „შეგროვება“. მეექვსე წუთზე მარშანიას ფეხი გაეჭიმა, მაგრამ მაინც განაგრძო შეჯიბრება და ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოდა. შეხვედრის მე-9 წუთზე, როცა ანგარიში 11:11 იყო (სოხუმელ ფალავანს ტექნიკური ქულები მეტი ჰქონდა), დაუდოვი ფეხებში შეუვარდა მეტოქეს, ალბათ ქულასაც აართმევდა, მაგრამ გონგის ხმამ მოუსწრო და გამარჯვებაც ხელიდან გამოეცალა. ამ შეხვედრის შემდეგ ვლადიმერ მარშანია მეორე ადგილზე იმყოფებოდა, მაგრამ საერთაშორისო ტურნირის წესების მიხედვით (ერთი ქვეყნიდან მხოლოდ ერთ ფალავანს ანიჭებენ საპრიზო ადგილს) იგი ამერიკელ სუსი ლორენს ერგო. გამარჯვებული კი ამ წონით კატეგორიაში, როგორც აღვნიშნეთ, ვლადიმერ ბატნია გამოვიდა.

საინტერესოდ წარიმართა გამოცდილი ოსტატის ჰასან ზანგიევისა და სანავარ ოჰანესიანის (ორივე სსრ კავშირი) შეხვედრა, სადაც გამოცდილებას. თბილისის შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა ზანგიევმა არც წელს შეირცხვინა თავი.

აღსანიშნავია, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე პრიზიორის [illegible] ფაშაევისა და 21 წლის ძალზე პერსპექტიული მოჭიდავის ხარტმუდ რაიხის (გდრ) შერკინება. აქ დიდი ხნის განმავლობაში თითქმის შეუძლებელი იყო რომელიმე ფალავნისთვის უპირატესობის მინიჭება — თითქმის ერთნაირი სტილის მოჭიდავეები არიან, საოცრად სწრაფები, მოქნილები. უნდა აღინიშნოს, რომ გერმანელის მწვრთნელს ფანქარი, უბის წიგნაკი და ფოტოაპარატი არ გაუგდია ხელიდან, იგი თავისი აღზრდილის ყოველ უმნიშვნელო მოქმედებასაც კი დიდი გულისხმიერებით აკვირდებოდა და მონდომებით აღნუსხავდა. ბოლოს იმარჯვა ფაშაევმა და შეხვედრაც თავის სასარგებლოდ დაამთავრა.

შესანიშნავად იასპარეზა მახაჩყალელმა ბუზაი იბრაგიმოვმა — უშეღავათო ბრძოლაში დაამარცხა ერევნელი ბაღდასარიანი (7:4) და საქართველოს სპორტკომიტეტის ოქროს მედალსაც დაეუფლა. ტურნირის საფინალო ასპარეზობის ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ალმაათელი კაზაკბიევისა და ირანელი ბაზმოვარის შერკინება იყო. ირანის ჩემპიონმა, მსოფლიო პირველობის პრიზიორმა მოჰამედ ბაზმოვარიმ შესანიშნავად იჭიდავა, ულამაზესი ილეთებით მოხიბლა თბილისელი მაყურებელი და სანუკვარ გამარჯვებასაც მიაღწია. აღსანიშნავია, რომ ირანელი მშვენივრად ფლობდა და იყენებდა ქართული ჭიდაობის მრავალფეროვან ფანდებს, რასაც თითქმის ვერცერთ ქართველ ფალავანზე ვერ ვიტყვით...

**დამთავრდა** თბილისის XVII საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი, რომელიც ალბათ მრავალ კორექტივს შეიტანს მონაწილე ქვეყნების ნაკრები გუნდების სიებში. ამ ტურნირზე აშკარა იყო საბჭოთა ფალავნების უპირატესობა (9 პირველი ადგილი), მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ შეჯიბრება მაინც ევროპის, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშებისათვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა.

**ნ. შატაიძე.**

**სურათებზე:** ვლადიმერ მარშანია წუთშესვენებისას; მოჰამედ ბაზმოვარისა და ზაპირ კაზაკბიევის შეხვედრის მომენტი; საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი ჩედ ქროუ (აშშ).

ა. კოტორაშვილის ფოტოები.







# ორი თასი

ბაკურიანი, 30 იანვარი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ დაიწყო საბჭოთა კავშირის თასების გათამაშება ორჭიდსა და სათხილამურო რბოლებში. ეს შეჯიბრება უკანასკნელი გენერალური რეპეტიციაა ლაჰტის მსოფლიო პირველობის წინ. საქართველოს ამ თოვლიან მხარეს არაერთხელ დაუსახელებია სსრ კავშირის ნაკრები გუნდების საბოლოო შემადგენლობა და ახლაც არჩევანი ბაკურიანზე შეჩერდა.

სტარტის წინ ორჭიდელთა უფროსმა მწვრთნელმა ნ. ტატარინცევმა გვითხრა, რომ გუნდის ექვსი წევრიდან მხოლოდ სამის ვინაობაა ცნობილი: ლაჰტის საგზურები განაღდებული აქვთ დინამოელებს ა. მაიოროვს, შარშანდელი თასის მფლობელს ა. ბარანოვსა და ნ. ნოგოვიცინს („ზენიტი“), მიუხედავად ამისა, ისინი იასპარეზებენ ამ შეჯიბრებაში, მითუმეტეს, რომ ეს მათივე გუნდების ინტერესებიდანაც გამომდინარეობს. ბაკურიანის სტარტებმა ნაკრებისთვის მათი სამი ამხანაგი უნდა დაასახელოს. უკანასკნელ წლებში საბჭოთა ორჭიდელებს საერთაშორისო სარბიელზე ძნელი ბრძოლების გადატანა უხდებათ და ოქროს მედლებამდე ხშირად ვერ აღწევენ (უმეტესად სუსტად ხტომების გამო), ამიტომაც ახლა მთავარ ყურადღებას რბენებთან ერთად ხტომასაც ვუთმობთ...

პირველი დღე 70-მეტრიან ტრამპლინზე ხტომას დაეთმო. შეჯიბრება 12 საათზე უნდა დაწყებულიყო. საასპარეზოდ ყველაფერი მზად იყო, გარდა... ამინდისა. პირველი საცდელი ხტომები დამთავრებულიც არ იყო, რომ თოვლი ხვავრიელად წამოვიდა და ტურნირის გაგრძელება შეუძლებელი გახდა. მსაჯთა კოლეგიამ შედეგები გააუქმა და ასპარეზობა სამი საათით გადასწია. მალე გამოიდარა კიდეც. დაწინაურდა ს. ომელჩენკო (შეიარაღებული ძალები), რომელიც 74,5 და 77,5 მეტრზე გადახტა და 217,5 ქულა მიიღო. მომდევნო ადგილებზე არიან ს. ბრიზგალოვი („ზენიტი“) — 216,4 (ნახტომები 73,5 და 74,5) და 18 წლის ვ. აპლოვი (შეიარაღებული ძალები) — 215,7 (74 და 74,5 მ). მათ მიჰყვებიან ა. მაიოროვი — (214,3), ა. ბარანოვი (213,5) და ნ. ნოგოვიცინი (211,4).

თასების გათამაშების დაწყებამდე, ვეტერანებმა შედარებით ახალგაზრდებს სიურპრიზი შესთავაზეს — ერთმანეთს შეეჯიბრნენ 3 კილომეტრზე რბენაში. სტარტზე გამოვიდნენ 30 წელს გადაცილებული მწვრთნელები, მსაჯები, გუნდების წარმომადგენლები. მოასპარეზეთა შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც 50 წელს კარგა ხანია გადააბიჯეს, მაგალითად ვ. სმირნოვს 62 წელი ამ დღეებში შეუსრულდა. მან II ადგილი დაიკავა — 10,37. ყველას აჯობა წარსულში ცნობილმა სპორტსმენმა, 40 წლის ი. ვორონჩიხინმა, რომელმაც სმირნოვს ფინიშზე 4 წამით მიასწრო. III ადგილზე გავიდა 42 წლის კ. ფილიმონოვი — 10,52.

და აი, დღეს სტარტი აიღო მთავარმა შეჯიბრებამ — რბოლებმა. როცა ათ კილომეტრზე მოასპარეზე ქალები გზას გაუდგნენ, ტურნირისთვის საუცხოო ამინდით (8 გრადუსი ყინვა), კმაყოფილი ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ვ. კამენსკი სიამოვნებით დაგვეთანხმა რამდენიმე სიტყვა ეთქვა გუნდის მზადებასა და მსოფლიო ჩემპიონატის მომავალ სტარტებში საბჭოთა სპორტსმენების მოსალოდნელ წარმატებებზე. მან გაგვანდო, რომ ესესაა ლაჰტიდან დაბრუნდა, სადაც დაათვალიერა ტრასა, რომელზეც მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. მისი აზრით, დისტანცია ძალიან ადვილია, მაგრამ თავისებური პროფილით. აქ წარმატებაში მთავარ როლს მარტო ფიზმომზადება როდი შეასრულებს, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული საცხის სწორად შერჩევაზეც. მწვრთნელის აზრით ლაჰტიდან ჩვენი მოთხილამურეები საკმაოდ უხვი ნადავლით უნდა დაბრუნდნენ.

ამასობაში მონაწილენი ფინიშთან გამოჩნდნენ. საბოლოოდ გამარჯვება წილად ხვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს, ოლიმპიადებისა და მსოფლიო ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორს გ. კულაკოვას („ტრუდი“) — 31.29,8. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ნ. როჩევა („დინამო“) — 31,58,8 და რ. სმეტანინა (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები) — 32.19,0 ქვეყნის ნაკრების კანდიდატებმა ზ. ამოსოვამ („ტრუდი“ 32.44,8) და რ. ხვოროვამ („დინამო“, 32.52,2) IV და V ადგილები დაიკავეს.

ხვალ ბრძოლაში ჩაებმებიან ვაჟები.

**მ. ზაქარეიშვილი.**

## ტურიზმი

### დათოვლილ ბილიკებზე

**ზუგდიდის** კომკავშირისა და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების ინიციატივით მოეწყო საინტერესო ტურისტული ლაშქრობა მარშრუტით: დაბა ჯვარი — ჩქვალერი — ყვირას მთა. ლაშქრობაში მონაწილეობდნენ კომკავშირის მესვეურები, ახალგაზრდა პედაგოგები, მწვრთნელები...

70-კაციანი რაზმი დაბა ჯვარიდან ქვეითად გაუდგა დათოვლილ ბილიკებს და ნაშუადღევს ყვირას მთაზე დასცა კარავი. გამოუშვეს საველე გაზეთი, მოეწყო შეჯიბრება კარვის გაშლასა და ადგილმდებარეობის ორიენტირებაში, ჩატარდა მშდ-ს ნორმატივების ჩაბარება ხელყუმბარის ტყორცნაში და ტყვიის სროლაში.

ლაშქრობის მონაწილენი მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ შინ.

**კ. ფიფია.**
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

ამას წინათ ანდიჟანში (უზბეკეთი) გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობის ზონალური შეჯიბრება კალათბურთში ჭაბუკთა გუნდებს შორის. ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას ქუთაისელი კალათბურთელები იცავდნენ.

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა ამ გუნდის უფროს მწვრთნელს, საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს **სულიკო თორთლაძეს** და სთხოვა მოეთხრო განვლილი შეჯიბრების შესახებ.

— ცოტა შორიდან დავიწყებ, — გვითხრა ს. თორთლაძემ, — ჭაბუკ კალათბურთელთა საკავშირო ზონალურ პირველობაში მონაწილეობის უფლება ჩვენ თბილისის, სოხუმის, ბათუმისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ძლიერ კოლექტივებთან უშელავათო ბრძოლაში მოვიპოვეთ. ამან ორმაგი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა; სწორედ ანდიჟანში უნდა დაგვემტკიცებინა, რომ ჩვენი გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა. სამხრეთის ამ მყუდრო ქალაქში ჩვენთან ერთად ასპარეზობდნენ ლენინგრადის, ლატვიის, ყირგიზეთის, თურქმენეთისა და ყაზახეთის ძლიერი კოლექტივები (ყოველ შემთხვევაში, ლენინგრადისა და ლატვიის გუნდების სიძლიერეში ეჭვს ვერ შეიტან. საკმარისია ითქვას, რომ ნევისპირელთა გუნდის ოთხი მოთამაშე 2 მეტრზე მაღალი იყო).

შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა. პირველ დღეს შედარებით იოლად დავამარცხეთ თურქმენეთის გუნდი — 93:68. მეორე შეხვედრა შეჯიბრების ერთ-ერთ ფავორიტთან — ლატვიის კოლექტივთან გვქონდა. თამაში მეტად დაძაბულად წარიმართა, მაგრამ, მიუხედავად ბალტიისპირელების მედგარი წინააღმდეგობისა, გამარჯვებულებმა დავტოვეთ სარბიელი (81:70).

უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი და ლენინგრადის კოლექტივების შეხვედრას. საქმე ისაა, რომ გამარჯვებული გუნდი ფაქტიურად იძლეოდა საბჭოთა კავშირის პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლებას. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ანდიჟანის გარდა ჭაბუკ კალათბურთელთა ზონალური შეჯიბრებები ჩვენი ქვეყნის კიდევ ორ ქალაქში გაიმართა. დებულების თანახმად, ზონებში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შექმნიან ფინალურ ექვსეულს და მიმდინარე წლის მარტში საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელისთვის იბრძოლებენ.

... და აი, ლენინგრადის გიგანტთა გუნდის პირისპირ ქუთაისელთა შედარებით ტანმორჩილი, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავი კოლექტივი წარსდგა. ჩვენმა ბიჭებმა დიდი ოსტატობით ჩაატარეს ეს შეხვედრა, სწრაფი, ენერგიული თამაშით ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს მეტოქეს და გამარჯვებულებმა დასტოვეს მოედანი (105:70).

მეოთხე მატჩიც დამაჯერებლად (94:65) მოვიგეთ (ყირგიზეთის კოლექტივთან) და უზბეკ კალათბურთელებთან ერთად დაუმარცხებლად მივედით ფინალამდე. ნათქვამია, მასპინძლებს საკუთარი კედლებიც ეხმარებაო, მაგრამ მათ მსაჯთა კოლეგიაც შეეშველა და, მიუხედავად ჩვენი ჭაბუკების ყოველგვარი მცდელობისა, ფინალური შეხვედრა წავაგეთ — 68:74. საბოლოოდ, ანდიჟანის ზონიდან საკავშირო ფინალის საგზურები უზბეკეთისა და საქართველოს კოლექტივებმა მოიპოვეს.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის საყოველთაო მოწონება, რომელიც ჩვენმა ჭაბუკებმა გააზრებული, ოსტატური თამაშით დაიმსახურეს. აი, ისინიც: ქუთაისელები — ედიშერ შევანგირაძე (ედიშერმა ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაიმსახურა), გელა დარსაძე, ვალენტინ დერიუგინი (ნიკოლოზის უმცროსი ძმა), დათო ჯიქია, ავთანდილ აფრიდონიძე, მამუკა სინაურიძე, ჯონდო კალაძე, დათო ნიჟარაძე, აგრეთვე, თბილისელი ზურაბ ავსაჯანიშვილი და სოხუმელი ანდრია ალიხანოვი (შეჯიბრების დებულებით შეგვეძლო გუნდში სამი სხვა ქალაქის კალათბურთელი შეგვეყვანა). გუნდის მზადების პროცესში დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს ქალაქის ხელმძღვანელობამ და ადგილობრივმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა.

ფინალურ ასპარეზობამდე ცოტა დროა დარჩენილი; შევეცდები ჩემს ახალგაზრდა კოლეგასთან, ზაურ დოლაბერიძესთან ერთად უფრო მონოლითური და შეკრული კოლექტივი შევქმნა, რათა მომავალ ასპარეზობაში წარმატებით დავიცვათ ქართული კალათბურთის მაღალი რეპუტაცია.

# წინ ფინალური შეხვედრებია



* * *

**სურათზე:** ქუთაისის ჭაბუკ კალათბურთელთა გუნდი.

## კალათბურთი

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გაიმართა კიდევ ოთხი შეხვედრა. მოსკოვში ადგილობრივმა არმიელებმა უმასპინძლეს რიგის ვეფს. გაიმარჯვეს მასპინძლებმა 152:126. ესტონელმა კალათბურთელებმა მიიღეს კიევის „სტროიტელი". გაიმარჯვა „კალევმა" 89:88 (დამატებით დროში). კაუნასში ადგილობრივმა „ჟალგირისმა" მიიღო ლენინგრადის „სპარტაკი" და დაამარცხა 93:86. სსრ კავშირის ჩემპიონებმა — არმიელმა კალათბურთელებმა უმასპინძლეს გასული ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორებს — თბილისის დინამოელებს და დაამარცხეს 137:97.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 31 იანვრისთვის**

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 11 | 1 | 1186:961 | 11 |
| „სპარტაკი" | 8 | 4 | 1010:957 | 8 |
| „ჟალგირისი" | 7 | 5 | 1077:1058 | 7 |
| „კალევი" | 7 | 6 | 1127:1124 | 7 |
| „დინამო" მ. | 7 | 5 | 1156:1065 | 7 |
| „დინამო" თბ. | 7 | 5 | 1048:1059 | 7 |
| ვეფ-ი | 7 | 5 | 1237:1267 | 7 |
| „სტროიტელი" | 5 | 7 | 920:957 | 5 |

## საიუბილეო მატჩი

**ბუშინწინ** ათიათასამდე მაყურებელი დაესწრო მოსკოვის ლუჟნიკის სპორტის სასახლეში ამერიკელ და საბჭოთა მოკრივეთა ტრადიციულ შეჯიბრებას. ასევე „ტრადიციულად" უკვე მეათედ გაიმარჯვეს ოფიციალურ მატჩში საბჭოთა მოკრივეებმა — 7:4.

ტყავის ხელთათმნის საბჭოთა ოსტატთაგან გაიმარჯვეს: ა. ტკაჩენკომ (დონეცკი) — დ. ტიდუელთან, ფ. პაკმა (ანდიჟანი) — რ. სევიჯთან, ვ. სოროკინმა (ორენბურგი) — ბ. ლინდსეისთან, ა. ლუკაჩმა (კოსტრომა) — დ. კარბინთან, ნ. ეროფეევმა (კაუნასი) — ჟ. პალმერთან, ვ. რიბაკოვმა (მოსკოვი) — დ. ფულერთან, ლ. შაპოშნიკოვმა (ლვოვი) — ჯ. მაკრაკენთან.

აშშ-ს მოკრივეებიდან წარმატებას მიაღწიეს: ა. კარიმ — ვ. კოტოვშჩიკოვთან (ირკუტსკი) — ნოკაუტით, რ. სანდოვალმა — ა. კლიუევთან (კრასნოდარი) — ქულებით, ე. გრინმა — ს. რადკევიჩთან (დონეცკი), გ. პეიჯმა — ხ. ინჯეიანთან (ერევანი). ორივე საბჭოთა მოკრივემ ბრძოლის გაგრძელებაზე უარი თქვა.

აი, გუნდების მწვრთნელთა აზრი შეხვედრისა და მონაწილეების შესახებ:

**ფაგატოსო ბრაუნი** (აშშ): კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ბიჭები არ შედრკნენ გამოცდილ საბჭოთა გუნდთან შეხვედრაში. აშშ-ს გუნდის ყოველი მონაწილე ხომ დებიუტანტია, მათ შორის ხუთი კი 17 წლისაა. მეტოქეთაგან გამოვყოფ შაპოშნიკოვსა და რიბაკოვს.

**ალექსეი კისელიოვი** (სსრ კავშირი): ჩვენი მიზანი იყო რეზერვის გამოცდა, ამიტომ გუნდში ახალგაზრდა მოკრივეები შევიყვანეთ. ამერიკელ მოკრივეებიდან მომეწონა პეიჯი. ჩვენი ბიჭებიდან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ეროფეევმა, შაპოშნიკოვმა და რიბაკოვმა.

## ფეხბურთი

### პირველად ცისფერ ეკრანზე

**მსოფლიო** ჩემპიონატის მატჩები ფეხბურთში დიდ ინტერესს იწვევს გულშემატკივართა შორის. გათამაშების დღეებში ტელეეკრანებთან ურიცხვი მაყურებელი ზის, რომლებიც თვალს არ აცილებენ მინდორზე ბრძოლას.

მსოფლიო ჩემპიონატის პირველი მატჩი გადაიცა 1954 წელს. ევროპის 8 ქვეყანა (საფრანგეთი, ინგლისი, გფრ, ბელგია, იტალია, ჰოლანდია, შვეიცარია, დანია) დაუკავშირდა ერთმანეთს, რათა სატელევიზიო ქსელით გადაეცათ ორი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა: რომის პაპის პიუს XII ინტერვიუ და V მსოფლიო ჩემპიონატის 9 მატჩი შვეიცარიიდან.

16 ივნისს ლოზანაში ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთისა და იუგოსლავიის გუნდები და ეს მატჩი ნაჩვენები იქნა ტელევიზიით. გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 1:0.

# სპორტული თებერვალი

1-3. სათხილამურო რბოლა. სსრ კავშირის თასი. ბაკურიანი.

1-3. ხელბურთი. 1961-62 წლებში დაბადებულ მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. ბათუმი.

1-4. თავისუფალი ჭიდაობა. 1959-60 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. რუსთავი.

1-4. სამბო. 1959-60 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ლაგოდეხი.

1-4 ცურვა. სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების მოზარდთა რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

2-5. კლასიკური ჭიდაობა. III რესპუბლიკური სოფლის თამაშები. სამტრედია.

2-25. ჭადრაკი. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ნახევარფინალები. სოხუმი, გორი.

3-6. მშვილდოსნობა. გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" პრიზის გათამაშება. თბილისი.

3-12. ჭადრაკი. III რესპუბლიკური სოფლის თამაშები. ზუგდიდი.

4-12. საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადა. ბაკურიანი.

4-24. ჭადრაკი. საქართველოს ქალთა ჩემპიონატის ნახევარფინალები. ბორჯომი, ახალციხე.

5-8. ცურვა. საქართველოს ზამთრის ჩემპიონატი და 1961-62 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. თბილისი.

8-12. ბიატლონი. სსრ კავშირის თასი. ბაკურიანი.

9-12. ძიუდო. საერთაშორისო ტურნირი. თბილისი.

9-12. სამბო. 1961-62 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ლაგოდეხი.

11-16. თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს თასი. თბილისი.

14-18. ძიუდო. საქართველოს იუნიორთა პირველობა. გორი.

14-19. ბალახის ჰოკეი. უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სკოლის პირველობა დარბაზში. თბილისი.

18. II-18. III. შაში. რესპუბლიკის ქალთა ჩემპიონატი საერთაშორისო შაშში. ბათუმი.

19-21. სათხილამურო რბოლა. საქართველოს თასი. ბაკურიანი.

23-26. ძალოსნობა. 1958-1960 წლებში დაბადებულთა რესპუბლიკური პირველობა. ცხინვალი.

23-26. ქართული ჭიდაობა. საქართველოს პირველობა. მეორე ზონა. დუშეთი.

23-26. ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა. რესპუბლიკური შეჯიბრება საერთო ფიზმომზადებასა და გრძელ დისტანციებზე ნიჩბოსნობაში. ფოთი.

23-26. აკრობატიკა. საქართველოს თასი. ფოთი.

23-28. მაგიდის ჩოგბურთი. საქართველოს მოზარდთა პირველობა. ბათუმი.

24. II-5. III. კრივი. სსრ კავშირის ჩემპიონატი. თბილისი.

თებერვალში თბილისის „დინამოს" კალათბურთელები შინ საკავშირო ჩემპიონატის ოთხ შეხვედრას გამართავენ: 4 თებერვალს — კაუნასის „ჟალგირისთან", 7 თებერვალს — რიგის ვეფ-თან, 24 თებერვალს — მოსკოველ თანაკლუბელებთან და 28 თებერვალს — კიევის „სტროიტელთან".



# მხიარული ფანქრით

— არგენტინა მდებარეობს... I ჯგუფში საფრანგეთის, იტალიისა და უნგრეთის გუნდებთან ერთად.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი

# დიდი ხნის ნანატრი „ოქრო"

## ციგურები

**ოსლო.** კვირა საღამოს „ბიშლეტზე" — ნორვეგიის დედაქალაქის ცნობილ საციგურაოზე სპორტის ამ სახეობის 20 ათასი მოყვარული მიესალმა ევროპის ახალ აბსოლუტურ ჩემპიონს, მოსკოველ სტუდენტს სერგეი მარჩუკს. 13 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც გეტებორგში კონტინენტის პირველობაზე საბჭოთა მოციგურავე ედუარდ მატუსევიჩი უკანასკნელად ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. და აი, ახლა მარჩუკმა კვლავ აღადგინა საბჭოთა საციგურაო სპორტის ყოფილი დიდება. საბჭოთა სპორტსმენმა ჩემპიონატის მასპინძლებთან — ნორვეგიის ბრწყინვალე მოციგურავეებთან ი.-ე. სტურჰოლტთან, ს. სტენსენთან და კ.-ა. სტენსჰემეტთან დაძაბულ ბრძოლაში მიაღწია წარმატებას.

მარჩუკის დიდი ოქროს მედლის „ფასი" ასეთია: 171,55 ქულა (500 მ. — 39,86 — V ადგილი; 5000 მ — 7.21,75 — II; 1500 მ — 2.03,96 — V; 10000 მ — 15.24,08 — II). 5 და 10 ათას მეტრზე II ადგილის მოპოვებისთვის მარჩუკმა მცირე ვერცხლის მედლები დაიმსახურა.

ევროპის წლევანდელმა ჩემპიონატმა წარმატება მოუტანა, აგრეთვე, ორ საბჭოთა მოციგურავეს: სვერდლოვსკელმა ი. კონდაკოვმა 1500-მეტრიან დისტანციაზე (2.02,26) მცირე ოქროს მედალი მოიხვეჭა, ხოლო მოსკოველმა ვ. ლობანოვმა — მცირე ვერცხლის მედალი სპრინტში (39,49).

მრავალჭიდში მოპოვებული II ადგილისთვის დიდი ვერცხლის მედალი ერგო სტენსენს — 172,218 (სტენსენმა 5000 და 10000 მეტრზე რბოლაში გამარჯვებისთვის ორი მცირე ოქროს მედალი მოიპოვა). ბრინჯაოს დაეპატრონა შეჯიბრების ერთ-ერთი მასპინძელი, 1977 წლის ევროპის ჩემპიონი სტურჰოლტი — 172,484 (საკლები).

რედაქტორი
ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.
ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 01943